

ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და
ქვეპროგრამების შესახებ

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში
სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 2000)
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება
პროგრამა:

1. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში
საქართველოს ინტეგრაცია

პრიორიტეტი - NATO-ში ინტეგრაციის კოორდინაცია

ნატო-ში ინტეგრაციის კოორდინაციის კუთხით საანგარიშო პერიოდის
განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობა შემდეგი კონკრეტული
მიმართულებებით წარიმართა:

- ნატო-საქართველოს კომისიის მუშაობის კოორდინაცია;
- 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების
კოორდინაცია; 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამის თვითშეფასების
დოკუმენტის მომზადება;
- ნატო-ში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიის მუშაობა;
- უელსში დაგეგმილი ნატო-ს 2014 წლის სამიტისათვის მოსამზადებელი სამუშაოების
ჩატარება - უწყებათაშორისი დელეგაციის ჩამოყალიბება და ნატო-ს წევრ ქვეყნებში
ვიზიტების ორგანიზება; 2014 წლის ნატო-ს უელსის სამიტის მუშაობაში
მონაწილეობის მიღება
-
- ნატო-ს პროგრამის „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ კონფერენციის
ორგანიზება;

- საქართველოში ნატო-ს წარმომადგენლების ვიზიტების ორგანიზება;
- ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ინფორმირება საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ;
- საზოგადოების ინფორმირება

ნატო-საქართველოს კომისიის მუშაობის კოორდინაცია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა კოორდინაცია გაუწია ნატო-საქართველოს კომისიის სხდომების მუშაობას. კომისიის სხდომები იმართებოდა სხვადასხვა საკითხებზე: დემოკრატიის, კონფლიქტის, თავდაცვის, უსაფრთხოების, და სხვ.

ნატო-საქართველოს კომისიის სხდომები ელჩების დონეზე

5 თებერვალს ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მონაწილეობით გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა ელჩების დონეზე. შეხვედრაზე განხილულ იქნა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, ავღანეთში მიმდინარე ISAF-ის ოპერაცია და დიდ ბრიტანეთში დაგეგმილი სამიტი. ნატო-ს წევრი ქვეყნების ელჩებმა ხაზგასმით აღნიშნეს საქართველოში მიმდინარე წარმატებული დემოკრატიული რეფორმები, გამოხატეს ერთგულება საქართველოს ალიანსში ინტეგრაციასა და ტერიტორიული მთლიანობისადმი.

ნატო-საქართველოს კომისიის სხდომები ელჩების მოადგილეების დონეზე

14 მარტს ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა ელჩების მოადგილეების დონეზე, რომელზეც საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით დონდუამ 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამა წარადგინა. შეხვედრაში, ასევე, მონაწილეობდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე მიხეილ დარჩიაშვილი, რომელმაც მოკავშირეებს თავდაცვის სფეროში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. ალიანსის 28 სახელმწიფოს წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ წლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში შემუშავებული რეფორმათა გეგმა და აღნიშნა, რომ დოკუმენტი ყოვლისმომცველი და რეალისტურია. ასევე, ხაზი გაესვა რეფორმების წარმატებით შესრულების მნიშვნელობას და ყოვლისმომცველი რეფორმების განხორციელების საქმეში საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს.

ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა პოლიტიკური და პარტნიორობის კომიტეტის დონეზე

საანგარიშო პერიოდში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სამი სხდომა პოლიტიკური და პარტნიორობის კომიტეტის დონეზე. სხდომებზე განხილულ იქნა სასამართლო რეფორმის მიმდინარეობა, თავდაცვის დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის (PARP) ფარგლებში აღებული პარტნიორობის მიზნები და „კეთილსინდისიერების განვითარების“ (Building Integrity) პროგრამის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები.

ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე

2 აპრილს ნატოს შტაბ-ბინაში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრიალის ფარგლებში, გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა ანდერს ფოგ რასმუსენმა გახსნა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ნატო მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს მისწრაფებას გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი. სხდომაზე ნატო-ს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმა განაცხადეს, ალიანსი ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების ერთგული რჩება, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი. მათ კიდევ ერთხელ გამოხატეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურყევი მხარდაჭერა და არაღიარების პოლიტიკისადმი ერთგულება. ნატო-ს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ასევე ხაზგასმით აღნიშნეს საქართველოს მიერ დემოკრატიის განმტკიცებისა და რეფორმების განხორციელების პროცესში მიღწეული პროგრესი და გამოხატეს საქართველოში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა. მოკავშირეებმა ასევე მადლიერება გამოხატეს საქართველოს მიერ ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილისთვის და მიესალმნენ ქვეყნის მზაობას მონაწილეობა მიიღოს ნატო-ს ახალ მისიაში ავღანეთში ISAF-ის ოპერაციის დასრულების შემდეგ. 4 ივნისს ნატო-ს შტაბ-ბინაში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისია თავდაცვის მინისტრების დონეზე. ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებთან 28+1-ის ფორმატის შეხვედრა ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა გახსნა. ნატო-მ კვლავ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა. ასევე, განსაკუთრებით აღინიშნა საქართველოს პროგრესი თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიმართულებით. ალიანსმა დაადასტურა კვლავ, რომ ბუქარესტის 2008 წლის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში რჩება. საქართველო გახდება ნატოს წევრი მას შემდეგ, რაც ის გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს.

ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში ნატო-ს სამხედრო კომიტეტისა და საქართველოს შეხვედრა

11-12 თებერვალს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს პირველად ეწვია ნატო-ს სამხედრო კომიტეტი. შეხვედრები გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, პრეზიდენტთან და თავდაცვის მინისტრთან. 12 თებერვალს +1 ფორმატში სამხედრო კომიტეტის სხდომა გაიმართა. სესიაზე საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის ტრანსფორმაციის, ევროატლანტიკურ

უსაფრთხოებაში საქართველოს წვლილისა და ნატო-საქართველოს სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. საანგარიშო პერიოდში ნატო-საქართველოს კომიტეის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა გაერთიანებული შტაბების უფროსების, სამხედრო წარმომადგენლებისა და სამუშაო დონეებზე. შეხვედრებზე საუბარი წარიმართა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების შესახებ, სამხედრო თანამშრომლობის მიმდინარე საკითხებზე, რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოს შესახებ.

საქართველოს 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაცია

ნატო-ში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, შესაბამის დარგობრივ სამუშაო ჯგუფებში მუშაობისა და კონსულტაციების შედეგად, შეიმუშავა 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამის პროექტი, რომელიც ნატო-ს წევრი ქვეყნების ექსპერტებთან ერთად დეტალურად იქნა განხილული 2014 წლის 30-31 იანვარს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებულ სემინარზე. 2014 წლის 14 მარტს ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა ელჩების მოადგილეების დონეზე, რომელზეც ნატო-ს მხარეს 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამა წარედგინა.

საქართველოს 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის მომზადება

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, შესაბამის უწყებებთან მუშაობისა და კონსულტაციების შედეგად, მოამზადა 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი. თვითშეფასების დოკუმენტში ასახულია წლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა. აღნიშნული დოკუმენტი გაიგზავნა ქ. ბრიუსელში ნატო-ს შტაბ-ბინაში.

ნატო-ში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიის მუშაობა

10 მარტს, ნატო-ში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიის სხდომა გაიმართა სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით. აღნიშნული კომისიის სხდომაზე საქართველოს 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამა საბოლოოდ დამტკიცდა. პროგრამა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თავდაცვისა და უსაფრთხოების, სამართლებრივ, განათლებისა და სხვა სფეროებში რეფორმების გეგმებს მოიცავს და უწყებათაშორისი რამდენიმეთვიანი კოორდინირებული მუშაობის შედეგია. სახელმწიფო კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) განხორციელების პროცესში ჩართული ყველა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი. აღნიშნული დოკუმენტი პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით ნატოს გენერალურ მდივანს გადაეგზავნა.

უელსში დაგეგმილი ნატო-ს 2014 წლის სამიტისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება - უწყებათაშორისი დელეგაციის ჩამოყალიბება და ნატო-ს წევრ ქვეყნებში ვიზიტების ორგანიზება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული ნატო-ს უელსის სამიტის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებაში. ჩამოყალიბდა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით, რომელიც კონსულტაციების გასამართად ახორციელებდა სამუშაო ვიზიტებს ნატო-ს წევრ ქვეყნებში. კონსულტაციების თემა წარმოადგენდა ნატო-ს 2014 წლის სამიტისათვის მზადება და საქართველოსათვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის განხილვა.

2014 წლის ნატო-ს უელსის სამიტის მუშაობაში მონაწილეობის მიღება

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მონაწილეობა მიიღო ნატო-ს უელსის სამიტის მუშაობაში და სამიტის ფარგლებში გათვალისწინებულ ორმხრივ შეხვედრებში, მათ შორის ნატო-ს გენერალურ მდივანთან და გენერალური მდივნის მოადგილესთან. ნატო-ს უელსის სამიტზე ალიანსმა დაამტკიცა ნატო-საქართველოს არსებითი ღონისძიებების პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებას და ნატო-სთან თავსებადობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ დააჩქარებს საქართველოს მზადების პროცესს ალიანსში საბოლოო გაწევრიანებისათვის.

ნატო-ს პროგრამის „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ (SPS) კონფერენციის ორგანიზება

2014 წლის 2 ივლისს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით თბილისში ნატო-ს პროგრამის „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ კონფერენცია გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ როგორც SPS პროგრამის სპეციალისტები და ექსპერტები ნატო-ს შტაბ-ბინიდან, ასევე, საქართველოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, ქართველი მეცნიერები და ექსპერტები. ნატო-ს დელეგაციას ხელმძღვანელობდა ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე უსაფრთხოების ახალი გამოწვევების საკითხებში სორინ დუკარუ.

კონფერენციის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია პროგრამაში მონაწილეობის წესებისა და პროცედურების შესახებ. კონფერენციაზე განიხილულ იქნა პროგრამის ფარგლებში ნატოსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები ისეთ სფეროებში, როგორცაა ენერო უსაფრთხოება, კიბერ, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაქტიული და ბირთვული თავდაცვა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოში ნატო-ს წარმომადგენლების ვიზიტების ორგანიზება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოში სხვადასხვა დონის ვიზიტების თვალსაზრისით საკმაოდ ინტენსიური პერიოდი იყო. აღნიშნული ვიზიტები მნიშვნელოვანია როგორც ნატო-სთან ურთიერთობების გაღრმავების, ასევე ნატო-საქართველოს ურთიერთობების შესახებ საზოგადოების ინფორმირების კუთხით. ვიზიტების ორგანიზებას კოორდინაცია სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გაუწია. აღსანიშნავია უსაფრთხოების ახალი გამოწვევების საკითხებში ნატო-ს

გენერალური მდივნის თანაშემწის სორინ დუკარუს ვიზიტი საქართველოში, რომელმაც სახელმწიფო მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან ერთად გახსნა ნატო-ს პროგრამის „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ კონფერენცია და ვიზიტის ფარგლებში გამართა მაღალი დონის ორმხრივი შეხვედრები. აგრეთვე აღსანიშნავია სახალხო დიპლომატიის საკითხებში ნატო-ს გენერალური მდივნის თანაშემწის კოლინდა გრაბარ-კიტაროვიჩის ვიზიტი საქართველოში, რომელმაც ნატო-ს კვირეულის ოფიციალური გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა და ვიზიტის ფარგლებში ორმხრივი შეხვედრები გამართა.

ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ინფორმირება საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში მართავდა სამუშაო ვიზიტებს ნატო-ს წევრ სახელმწიფოებში. აღნიშნული ვიზიტების მთავარ მიზანს ამ ქვეყნების მიერ საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერის გაძლიერება და საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ უახლესი ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ნატო-ს მხრიდან დადებითი პოლიტიკური გადაწყვეტილების მოსაპოვებლად.

საზოგადოების ინფორმირება

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ინფორმირების კუთხით სახელმწიფო მინისტრის აპარატი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან ერთად რეგულარულად მართავდა სხვადასხვა ღონისძიებას როგორც ალიანსის და მასში მიმდინარე პროცესებს, ასევე საქართველოს ნატოში ინტეგრაციის დინამიკის შესახებ. ამასთანავე, წლის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა ნატოს სამეკავშირეო ოფისთან, ნატოს საკონტაქტო საელჩოსთან, არასამთავრობო სექტორის, აკადემიური წრეებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით საქართველოს თბილისსა და სხვადასხვა რეგიონში გაიმართა სულ 150 შეხვედრა. მათ შორის,

- 30 შეხვედრა სახელმწიფო მინისტრისა და მოადგილეების მონაწილეობით;
- 35 შეხვედრა დიპლომატიური კორპუსის მონაწილეობით;
- 55 შეხვედრა სხვადასხვა რეგიონში (როგორც სასწავლო დაწესებულებაში, ასევე ადმინისტრაციული მმართველობის ორგანოებში);
- გაიხსნა ნატოსა და ევროკავშირის შესახებ 22 საინფორმაციო კუთხე (სასწავლო დაწესებულებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში)
- გაიხსნა ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ახალი ბიურო კახეთის რეგიონში;

4 აპრილს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ნატოს დაარსების დღისათვის მიძღვნილი დებატები გაიმართა, რომელიც სახელმწიფო მინისტრმა და

თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გახსნეს. ღონისძიების ფარგლებში სტუდენტებმა საპარლამენტო ტიპის დებატები გამართეს. მონაწილეები სპეციალურმა ჟიურიმ შეაფასა და საუკეთესო ჯგუფი და საუკეთესო მოდებატე გამოავლინა. გამარჯვებულებს სიგელები და სპეციალური პრიზები გადაეცათ.

2014 წლის 15 აპრილს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ევროკავშირისა და ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით ნატოს კვირეული გაიმართა. კვირეული ფარგლებში საერთაშორისო კონფერენცია "გზა ნატოსკენ: ინტეგრაციის და გაწევრიანების გამოცდილების გაზიარება" ჩატარდა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ მაღალი დონის სტუმრები ნატოს წევრი ქვეყნებიდან, ასევე საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები. კვირეულის ფარგლებში, ასევე, ბროშურის "საქართველოს მონაწილეობა სამშვიდობო მისიებში" პრეზენტაცია, გამოფენა სახელწოდებით „ვემსახურები საქართველოს“, შეხვედრები, დებატები, სიმულაციური თამაშები და სხვა ღონისძიებები გაიმართა თბილისსა და საქართველოს რეგიონებში.

მიმდინარე წლის 5-11 მაისს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით ევროპის კვირეული სტუდენტური კონფერენციით გაიხსნა. კონფერენციაზე გაიმართა ესეების, ფოტოებისა და ნახატების კონკურსში გამარჯვებულ ნაშრომთა დაჯილდოება და ფოტოებისა და ნახატების გამოფენა გაიმართა. ევროპის კვირეულის ფარგლებში თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაიმართა: შეხვედრები სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან, ნახატების, ფოტოებისა და ესეების კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება, ნახატების გამოფენა, მართონული გარბენი და გამწვანების აქცია.

29-30 მაისს საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით მასწავლებლებისთვის ორდღიანი სემინარი - „მასწავლებელი - მეგზური ევროპისკენ“ გაიმართა. სემინარის მიზანი მასწავლებლების ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირება და ამ პროცესში მათი აქტიურად ჩართვა წარმოადგენდა. სემინარის დასასრულს პედაგოგებისთვის გამოცხადდა კონკურსი საინტერესო პროექტების წარმოდგენისათვის. სემინარის მუშობაში მონაწილეობა 70 პედაგოგმა მიიღო.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ და სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით გამოსაცემად მომზადდა და დაიბეჭდა სხვადასხვა პუბლიკაცია: „საქართველო საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში“, „10 მითი“, ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების გზამკვლევი“ (ქართული, ოსურ, აფხაზურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე).

2. ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაცია

პრიორიტეტი - ევროკავშირში საქართველო ინტეგრაციის კოორდინაცია

2014 წელს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები დინამიურად ვითარდებოდა, კერძოდ: შეთანხმდა ასოცირების დღის წესრიგი, 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას,

რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტს. საქართველოს პარლამენტმა ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება მიმდინარე წლის 18 ივლისს მოახდინა. ასოცირების შეთანხმების დიდი ნაწილი 1 სექტემბრიდან შევიდა ძალაში.

წარმატებით მიმდინარეობს ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

ამასთან, გრძელდებოდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP AP) სამოქმედო გეგმის განხორციელება, ასევე თანამშრომლობა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი და ორმხრივი პლატფორმების ფარგლებში, მათ შორის, „საგზაო რუკებით“ დასახული ამოცანების შესასრულებლად.

ასოცირების შეთანხმების ამოქმედების შემდეგ აღნიშნული დოკუმენტები შეიცვალა ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმით.

ევროკავშირში ინტეგრაციის კოორდინაცია

ევროკავშირში ინტეგრაციის მიზნით 2014 წლის ცხრა თვეში სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობა შემდეგი მიმართულებით წარიმართა:

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია;
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების საერთო კოორდინაცია;
- სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებათა კომპეტენციის ფარგლებში ევროინტეგრაციის კუთხით განხორციელებული საქმიანობის შესახებ 2014 წლის ცხრა თვის ანგარიშის მომზადება;
- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კოორდინაცია „ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში;
- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კოორდინაცია „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ფარგლებში;
- 2014-2017 წლებისთვის ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის განხორციელების კოორდინაცია.

საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებასა და მისი ნაწილის საქართველო-ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებული საკითხები

შემუშავდა ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა 2014 წლისათვის.

ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა განხილულ იქნა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის 49-ე სხდომაზე.

ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა შედგენილია ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის საფუძველზე და შესაბამისად, მისი სტრუქტურა ემთხვევა აღნიშნული დოკუმენტების სტრუქტურას.

ასოცირების შეთანხმება, პრაქტიკულად ქვეყნის მოდერნიზაციის სამოქმედო გეგმას წარმოადგენს, რომელიც პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების მთელ სპექტრს მოიცავს.

2014 წლის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული გეგმა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 3 სექტემბერს დამტკიცდა და დაიწყო მისი განხორციელება.

ევროინტეგრაციის კუთხით განხორციელებული საქმიანობის შესახებ 2014 წლის ცხრა თვის ანგარიშის მომზადება

შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციით მომზადდა ევროინტეგრაციის კუთხით განხორციელებული საქმიანობის 2014 წლის ცხრა თვის ანგარიში;

ევროინტეგრაციის კოორდინაციის მექანიზმის გაძლიერება

ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელების მიზნით ძლიერდება შესაბამისი სამთავრობო უწყებების შესაძლებლობები. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი სტრუქტურულად გაფართოვდა, დაემატა სამტატო ერთეულები. სახელმწიფო უწყებებში ყალიბდება ევროინტეგრაციაზე მომუშავე

სტრუქტურული ერთეულები და მიმდინარეობს თანამშრომელთა ტრენინგები ევროინტეგრაციის თემატიკაზე.

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აგრძელებდა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის სამდივნოს ფუნქციის შესრულებას და აღნიშნულ პერიოდში აპარატის ორგანიზებით ჩატარდა ზემოაღნიშნული კომისიის ორი სხდომა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის გადაწყვეტილებით ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახორციელებს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხთა საერთო კოორდინაციას.

ინიციატივის მრავალმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ფუნქციონირებს ოთხი თემატური პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ძირითად მიმართულებებზე თანამშრომლობის ღია და გამჭვირვალე მსჯელობისათვის აუცილებელ ფორუმს.

საანგარიშო პერიოდში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში საქართველოში სხვადასხვა ღონისძიება გაიმართა. გამართული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია მიმდინარე წლის 29 სექტემბერს, აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა წარმომადგენლების კონფერენციის მე-4 სხდომის ჩატარება.

„ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ 2014-2017 წლებისთვის საქართველოს მთავრობის სტრატეგიის“ განხორციელების კოორდინაცია

წარმატებით მიმდინარეობს „ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ 2014-2017 წლებისთვის საქართველოს მთავრობის სტრატეგიის“ მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის განხორციელება. სტრატეგია ევროინტეგრაციის პროცესზე საქართველოს მოსახლეობის სათანადო ინფორმირებასა და მის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

- ევროკავშირის თემატიკაზე მომზადდა საინფორმაციო ხასიათის ბროშურები, რომლებიც ითარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე, ასევე გამოიცა ბრაილის შრიფტით;
- გამოიცემა ჟურნალი „საქართველოს ევროპული გზა“. ჟურნალი, კვარტალში ერთხელ გამოდის და მის უმთავრეს მიზანს ევროინტეგრაციის მიმართულებით განხორციელებული რეფორმების წარმოჩენა და ზოგადად, ევროინტეგრაციის თემატიკის პოპულარიზაცია წარმოადგენს;
- იმართება თემატური სემინარები და ტრენინგები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისათვის;
- ხორციელდება საინფორმაციო კამპანია მედია საშუალებების მხარდაჭერით;
- ტარდება საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებები, როგორც საქართველოს დედაქალაქში, ასევე რეგიონებში.

2014 წლის 5-13 მაისს, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებითა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით საქართველოში ევროპის კვირეული გაიმართა.

კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა, მოსწავლეებმა, სტუდენტებმა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა.

გარდა ამისა, მიმდინარე წლის 10-11 ივლისს, ქ. ბათუმში, ჩატარდა მე-11 საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და პარტნიორი ქვეყნების მაღალი რანგის ოფიციალურმა პირებმა, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა. კონფერენციამ დადებითი გამოხმაურება ჰპოვა როგორც ევროკავშირის ინსტიტუტების წარმომადგენლებს, ასევე სხვა უცხოელ პარტნიორებს შორის.

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა მიგრაციისა და სავიზო საკითხებზე

2014 წლის პირველ ნახევარში, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირსა და საქართველოს შორის უვიზო რეჟიმის შესახებ მიმდინარე დიალოგში.

წარმატებით მიმდინარეობს ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნული სამოქმედო გეგმის პირველი - საკანონმდებლო ფაზა პრაქტიკულად შესრულებულია და დაწყებულია მეორე - იმპლემენტაციის ფაზით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებების განხორციელება. შესაბამისი რეფორმების ეფექტიანი განხორციელება ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის საფუძველია.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი მონაწილეობდა საქართველო-ევროკავშირს შორის უვიზო რეჟიმის შესახებ მიმდინარე დიალოგის ფარგლებში სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზის შესრულებაში.

აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ინიციატივის ფარგლებში. ინიციატივის ფარგლებში დასრულებულია თორმეტი და მიმდინარეობს ექვსი პროექტი, რომელთა ძირითადი მიზანია ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ ხელშეკრულებების განხორციელებაში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა, ასევე, სამშობლოში დაბრუნებული ქართველი იმიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობა.

საგარეო ურთიერთობები და პოლიტიკური დიალოგი ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შედგა სახელმწიფო მინისტრის ვიზიტები ხორვატიაში, ბელგიაში, გერმანიაში, სლოვაკეთში, პოლონეთში, ლატვიასა და უკრაინაში.

ვიზიტების ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო უწყებების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან, სახელმწიფო მოხელეებთან, პარლამენტარებთან, ასევე სამეცნიერო წრეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან.

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხებში

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპაციის პირობებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ხელისუფლების სხვა სტრუქტურებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

3. ევროკავშირის დახმარების ეფექტური დაგეგმვა და განხორციელება

პრიორიტეტი - ევროკავშირის დახმარების კოორდინაცია

ევროკავშირის დახმარების მიღებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა შესაბამისი დოკუმენტების, მათ შორის საპროექტო წინადადებების მომზადება.

2014 წლის 4 მარტს, ხელი მოეწერა ევროკავშირის დახმარების ეროვნული ინდიკატური პროგრამის 2013 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საჯარო ფინანსების მართვის სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის საფინანსო შეთანხმებას, რომელიც საქართველოსთვის 21 მილიონი ევროს დახმარებას ითვალისწინებს.

2014 წლის 21 მაისს, ხელი მოეწერა ევროკავშირის დახმარების ეროვნული ინდიკატური პროგრამის 2013 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ტექნიკური (საექსპერტო) დახმარების პროექტების და პროგრამა CIB-ის საფინანსო შეთანხმებას, რომელიც საქართველოსთვის 19 მილიონი ევროს დახმარებას ითვალისწინებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება 2011-2012 წლებში დაწყებული ინსტიტუციური გაძლიერების პროექტები და ასევე დაფინანსდება საქართველოს სახელმწიფო უწყებების მიერ მომზადებული ახალი პროექტები.

ევროკომისიასთან და პროექტების პოტენციურ მიმღებ უწყებებთან დაიწყო კონსულტაციები საპროექტო იდეების სახით ჩამოყალიბებასთან და ევროკავშირის დახმარების 2014 და 2015 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ტექნიკური (საექსპერტო) დახმარების პროგრამების ბიუჯეტების კონკრეტულ პროექტებზე გადანაწილების საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულის საფუძველზე ევროკომისიასთან დაიწყო კონსულტაციები სამოქმედო მონახაზების (Action Fiche) შემუშავების მიზნით, რაც საფუძვლად დაედება შესაბამის საფინანსო შეთანხმებებს.

2013 წელს, ევროკავშირის სტრატეგიული (ერთიანი) დახმარების ჩარჩო პროგრამის (SSF) ფარგლებში ევროკომისიასთან კონსულტაციების საფუძველზე განისაზღვრა 2014-2017 წლების ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები:

1. სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება;
2. მართლმსაჯულების სექტორის გაძლიერება;
3. საჯარო სექტორის რეფორმა;
4. ევროკავშირი-საქართველოს შეთანხმებების განხორციელება.

2014 წლის პირველ კვარტალში დასრულდა კონსულტაციები ევროკომისიასთან ევროკავშირის სტრატეგიული (ერთიანი) დახმარების ჩარჩო პროგრამის (SSF) 2014 წლის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრასთან დაკავშირებით, რომელიც ასევე მოიცავს დახმარებას *მეტი მეტისათვის* ინიციატივის ფარგლებში. ამასთან დასრულების ეტაპზეა 2014 წლის პრიორიტეტული მიმართულებების სამოქმედო მონახაზების (Action Fiche) შემუშავება. აღნიშნული პრიორიტეტებია:

1. მართლმსაჯულების სექტორის გაძლიერება - 50 მილიონი ევრო;
2. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა - 51 მილიონი ევრო;
3. სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება - 12 მილიონი ევრო (აღნიშნული რესურსები გამოყოფილია ინიციატივა *მეტი მეტისათვის* ფარგლებში, რომელიც დაემატა სოფლის მეურნეობის დახმარების (ENPARD) 2012 წლის სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამას);
4. ადამიანის უფლებები ყველას - 10 მილიონი ევრო (აღნიშნული რესურსები გამოყოფილია ინიციატივა *მეტი მეტისათვის* ფარგლებში, რომელიც დაემატება სისხლის სამართლის რეფორმის 2011 წლის სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამას);
5. ევროკავშირი-საქართველოს შეთანხმებების განხორციელება - 8 მილიონი ევრო (აღნიშნული რესურსები გამოყოფილია ინიციატივა *მეტი მეტისათვის* ფარგლებში, რომელიც დაემატება პროგრამა CIB-ს 2012 წლის საფინანსო შეთანხმებას).

ევროკომისიასა და საქართველოს მხარეს შორის კონსულტაციების საფუძველზე მომზადდა ევროკავშირის სტრატეგიული (ერთიანი) დახმარების ჩარჩო პროგრამის (SSF) ურთიერთგაგების მემორანდუმი და ხელი მოეწერა 2014 წლის 18 ივლისს. იმავე დღეს ხელი მოეწერა სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის (ENPARD) საფინანსო შეთანხმების ცვლილებათა ოქმს, რომელიც ითვალისწინებს ინიციატივა

მეტი მეტისათვის ფარგლებში, აღნიშნულ პროგრამაზე 12 მილიონი ევროს დამატებას.

2014 წლის სექტემბერში ევროკომისიასთან და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან დასრულდა კონსულტაციები ევროკავშირის სტრატეგიული (ერთიანი) დახმარების ჩარჩო პროგრამის (SSF) 2015 წლის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრასთან დაკავშირებით. ამასთან უახლოეს მომავალში დაიწყება კონსულტაციები 2015 წლის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული მიმართულებების საიდენტიფიკაციო მონახაზების (Identification Fiche) შემუშავება. აღნიშნული პრიორიტეტებია:

1. სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება (ENPARD II) - 40 მილიონი ევრო;
2. საჯარო სამსახურის რეფორმა - 30 მილიონი ევრო;
3. ევროკავშირი-საქართველოს შეთანხმებების განხორციელება - 20 მილიონი ევრო.

შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და ევროკომისიასთან კონსულტაციების საფუძველზე, ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების (PCA) ფარგლებში გათვალისწინებულ პროტოკოლს, ევროკავშირის ე.წ. თანამეგობრობის პროგრამებში მონაწილეობის წესებისა და პროცედურების შესახებ.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის ინსტრუმენტის (EaPTCP) ფარგლებში შეთანხმდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების თანამშრომლობის სტრატეგია და EaPTCP ინსტრუმენტით გათვალისწინებული საქართველო-სომხეთის ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამის ერთიანი ოპერაციული პროგრამული დოკუმენტი (JOP), რომელიც მოიცავს შემდეგ თანამშრომლობის პრიორიტეტებს: ტურიზმის განვითარება, სოფლის მეურნეობა, გარემოსდაცვა, განთლება და კულტურულ სფეროში თანამშრომლობა.

საქართველოს აქტიურად მონაწილეობდა ევროკავშირის წლების შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (BSCBC) ერთიანი სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებაში, რომელიც ითვალისწინებს 49 მლნ. ევროს დახმარებას შავი ზღვის რეგიონის 9 ქვეყნისათვის. ევროკომისიასთან და პროგრამაში მონაწილე შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად განისაზღვრა მომავალი საზღვრისპირა თანამშრომლობის პროექტების განხორციელების პროცედურები და შეთანხმდა სამომავლო თანამშრომლობის პრიორიტეტები: მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარება, სოფლის მეურნეობა, გარემოსდაცვა, განათლება, ჯანდაცვა და სიღარიბის დაძლევა.

ევროკავშირის დახმარების პროგრამების/პროექტების მომზადებისა და განხორციელების საერთო კოორდინაცია.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტს, როგორც ევროკავშირის დახმარების კოორდინაციაზე პასუხისმგებელ ერთეულს, მისი ფუნქციების უკეთ შესრულების მიზნით 6 ახალი თანამშრომელი დაემატა (5 შტატისანი 1 შტატგარეშე).

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული საქართველოში მიმდინარე და დაგეგმილი ინსტიტუციური განვითარების, სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის, საზღვრისპირა და ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამების და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამების კოორდინაციის პროცესებში.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული საჯარო სამსახურების დამპობილების პროგრამა Twinning-ის პროექტების მომზადების და განხორციელების პროცესში. საანგარიშო პერიოდში დასრულდა Twinning-ის ოთხი პროექტი და დაიწყო ერთი პროექტის განხორციელება. შესაბამისად დღეისათვის საქართველოში მიმდინარეობს Twinning-ის ხუთი პროექტი, რომლის განხორციელების პროცესში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად მონაწილეობს. აღნიშნული გულისხმობს სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრებში მონაწილეობას, კვარტალური ანგარიშების ანალიზსა და კომენტარების მომზადებას, ასევე პროექტის მიმღები უწყებების მხარდაჭერას პროექტის განხორციელების პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს Twinning-ის პროექტების სამეთვალყურეო საბჭოს 9 შეხვედრაში. შესაბამისად მომზადდა კომენტარები და შენიშვნები პროექტების კვარტალურ ანგარიშებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მონაწილეობა მიიღო Twinning-ის პროექტების 1 გახსნით და 4 პროექტის დახურვაზე მიძღვნილ ღონისძიებაში, სადაც აპარატის თანამშრომლები მომხსენებლების სტატუსით იყვნენ წარმოდგენილნი.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციით მომზადდა Twinning-ის 3 საპროექტო მონახაზი და გამოცხადდა კონკურსი ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან პარტნიორების შერჩევასთან დაკავშირებით. შედეგად ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან 9 საპროექტო განაცხადი შემოვიდა:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის შესაძლებლობათა გაძლიერება (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური) - 2 განაცხადი (ფინეთი/ჰოლანდია და ესპანეთი);
- საქართველოს სამოქალაქო ავიაციის რეგულაციების ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაცია (საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტი) – 2 განაცხადი (ავსტრია/ხორვატია და რუმინეთი);
- საქართველოს სოციალური სერვისების სააგენტო შესაძლებლობათა გაძლიერება (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური სერვისების სააგენტო) – 5 განაცხადი (სლოვაკეთი/უნგრეთი/ჩეხეთი, შვედეთი/საფრანგეთი/ესტონეთი, ფინეთი/ლატვია, ლიტვა/გერმანია და ავსტრია).

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული ინსტიტუციონალური განვითარების პროექტების მომზადების პროცესში, რაც მოიაზრებს პროექტის მიმღები ადმინისტრაციების მხარდაჭერას საპროექტო იდეების (Concept Note), Twinning-ის პროექტის (Fiche) მონახაზის, ტექნიკური დავალების (ToR) მომზადების პროცესში და ზემოაღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით ტრენინგების ჩატარებას. შედეგად, ინსტიტუციური განვითარების პროექტების ფარგლებში მომზადების სხვადასხვა ეტაპზეა 9 პროექტი.

საქართველოს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კონსულტაციების საფუძველზე პროგრამა SIGMA-ს ექსპერტებთან შეთანხმდა SIGMA-ს ფარგლებში 2014 წლისათვის თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები, მომზადდა პროექტების აღწერილობის დოკუმენტები და ასევე დაიგეგმა SIGMA-ს ექსპერტების თბილისში ვიზიტის თარიღები:

- საქართველოს მთავრობის კანცელარიის ფუნქციათა შესწავლა და ადმინისტრაციულ შესაძლებლობათა გაძლიერება;
- საჯარო სამსახურის კანონმდებლობის გადახედვა სრულყოფილი საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში საქართველოს შესყიდვების სისტემის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით.

საანგარიშო პერიოდში, პროგრამა SIGMA-ს ფარგლებში საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდნენ ექსპერტები რომელთაც თითოეულ ბენეფიციარ უწყებებასთან გამართეს სამუშაო შეხვედრები, კონსულტაციები, მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა სემინარში და შეიმუშავეს რეკომენდაციები.

საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ განხორციელდა რამდენიმე ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც საჯარო სამსახურის ბიუროს და მთავრობის კანცელარიის წარმომადგენლებთან განხილული იყო საჯარო სამსახურის კონცეფციის ძირითადი მიმართულებები და საჯარო სამსახურის შესახებ კანონის განახლების ალტერნატიული გზები. სექტემბრის თვეში პროგრამა SIGMA-ს ექსპერტების ჩართულობით დაიწყო მუშაობა საჯარო სამსახურის რეფორმის სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით. ასევე შეთანხმდა ოქტომბრის თვეში თბილისში, აღმოსავლეთ სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებისათვის რეგიონალური კონფერენციის ჩატარების საკითხი.

პროგრამა SIGMA-ს ექსპერტები აქტიურად თანამშრომლობდნენ საქრთველოს მთავრობის კანცელარიასთან „მთავრობის კანცელარიის ფუნქციების მიმოხილვის“ პროექტის ფარგლებში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პოლიტიკის დაგეგმვისა და პოლიტიკის კოორდინაციის ძირითად ფუნქციებზე. ინტენსიური კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. ექსპერტმა ასევე მონაწილეობა მიიღო მთავრობის კანცელარიის მიერ დარგობრივი სამინისტროების წარმომადგენლებისათვის ორგანიზებულ შეხვედრებში.

SIGMA-ს ექსპერტები აქტიურად აგრძელებდნენ თანამშრომლობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან. საანგარიშო პერიოდში შეთანხმდა პრიორიტეტული მიმართულებები და ღონისძიებების გრაფიკი, ასევე მომზადდება გზამკვლევი ევროპასთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში შესყიდვების სფეროში განსახორციელებები ღონისძიებების თაობაზე.

კონსულტაციები მიმდინარეობდა ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებთან საჯარო ფინანსების მართვის და კონტროლის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინაციას უწევდა ევროკავშირის ინფორმაციის გაცვლის პროგრამა TAIEX-ის ეგიდით დაგეგმილ ღონისძიებებში საქართველოს სახელმწიფო უწყებების მონაწილეობას. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატში განსახილველად TAIEX-ის 38 განაცხადი შემოვიდა. აქედან 22 განაცხადი განსახილველად და დასამტკიცებლად ევროკომისიის შესაბამის სამსახურში გაიგზავნა. 19 განაცხადზე დადებითი პასუხია მიღებული.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევდა ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის

პროგრამის (BSCBC) ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელებას. ამჟამად პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს 33 რეგიონალური პროექტი გარემოსდაცვისა, ტურიზმის, ურბანული განვითარების, განათლებისა და კულტურული თანამშრომლობის სფეროებში.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, როგორც BSCBC პროგრამის მაკოორდინებელი სტრუქტურა აქტიურ მონაწილეობას იღებდა პროგრამის ერთიანი მმართველი კომიტეტის და სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში, სადაც გაიმართა კონსულტაციები პროგრამის მომავალი თანამშრომლობის პრიორიტეტების განსაზღვრისა და მომავალი მმართველი სტრუქტურის ფორმირებასთან დაკავშირებით. შედეგად საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 7 შეხვედრა და გაიმართა მოლაპარაკებების 11 რაუნდი.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული ევროკომისიის მიერ ინიცირებული ევროკავშირის პროექტების კონტროლისა და აუდიტის სისტემის შემუშავების პროცესში. შედეგად გაიმართა შეხვედრები როგორც რეგიონალურ დონეზე, ასევე გაიმართა მოლაპარაკებები ორმხრივ ფორმატში ევროკომისიის წარმომადგენლებთან. ამასთან, განხორციელდა ევროპელი ექსპერტების 2 ვიზიტი საქართველოში, რომელთა ფარგლებში დაიგეგმა და ჩატარდა შეხვედრები სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, მათ შორის აუდიტის სახელმწიფო სამსახურთან და სახელმწიფო მინისტრის აპარატთან.

ამასთან, ჩატარდა მოლაპარაკებების 2 ეტაპი ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის (EaPTCP) ფარგლებში გათვალისწინებული საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივ პროგრამის ფარგლებში სადაც შეთანხმდა სამომავლო თანამშრომლობის სტრატეგია და პროექტების განხორციელების პროცედურები.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აწარმოებდა აქტიურ კონსულტაციებს ევროკომისიასთან და შესაბამის დარგობრივ უწყებებთან, ევროკავშირის ინიციატივა „Creative Europe“ და „Horizon 2020“-ში საქართველოს ჩართულობის და აქტიური მონაწილეობის მხარდასაჭერად.

ევროკომისიამ შეიმუშავა სამოქალაქო საზოგადოებასთან ჩართულობის საგზაო რუკა 2014-2017 წლებისათვის, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ევროკავშირის წარმომადგენლობებსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს სამოქალაქო საზოგადოებასთან სტრატეგიული თანამშრომლობის დამყარებაში. საქართველოში დოკუმენტზე სამუშაოდ შეიქმნა ჯგუფი (Reference group), რომელსაც კოორდინაციას უწევს ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში. ჯგუფის შემადგენლობაში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, დონორ

ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებული მხარეებთან ერთად შედის სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში. ჯგუფის მუშაოში სახელმწიფო მინისტრის აპარატის აქტიური ჩართულობით, განისაზღვრა ევროკავშირის მიერ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულები.

ამჟამად, საქართველოს პრემიერ მინისტრის აპარატის დონორთა კოორდინაციის სამსახურის ხელმძღვანელობით და სახელმწიფო მინისტრის აპარატის ჩართულობით მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამებისა და პროექტების შესახებ ელექტრონული მონაცემთა ახალი ბაზის შემუშავებასთან დაკავშირებით, სადაც ასევე ასახული იქნება ინფორმაცია ევროკავშირის გეოგრაფიული ინსტრუმენტების, თემატური ინსტრუმენტების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის, ევროკავშირის სააგენტოების, აღმოსავლეთ პარტნიორობის და პარტნიორობა მობილურობისათვის ფარგლებში არსებული პროექტების შესახებ.

ევროკომისიის ახალი ინიციატივის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს 2007-2013 წლებში საქართველოში განხორციელებული პროექტების დეტალურ ანალიზს სამომავლო ერთობლივი პროგრამირების პროცესის გაუმჯობესებისათვის დასრულდა სამი შეფასების მისია:

- ევროკავშირის დაფინანსების ფარგლებში საქართველოში მიმდინარე პროექტებისა და პროგრამების შეფასება განათლების სფეროში;
- საქართველოში არსებული უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის საკითხებში ევროკავშირის დახმარების შეფასება;
- 2007-2013 წლებში საქართველოში განხორციელებული პროექტების ზოგადი შეფასება.

შედეგად ევროკავშირის დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ მომზადდა ვრცელი ანგარიში. აღნიშნულ პროცესებში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან და ექსპერტებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულები სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსულტაციებში და დაგეგმილ შეხვედრებში.

ევროკავშირის დახმარების ფარგლებში განხორციელებული საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობა.

2014 წლის 3 აპრილს, თბილისში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის მხარდაჭერი პროექტის დახმარებით ორგანიზება გაუწია სამუშაო შეხვედრას ქართველი ჟურნალისტებისთვის, რომლის

ფარგლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ისაუბრეს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და სავიზო საკითხების ლიბერალიზაციის შეთანხმებების დეტალებზე.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ექსპერტების მიერ 7 სამინისტროში და საქვეუწყებო დაწესებულებებში გაიმართა პრეზენტაციები ევროკავშირის დახმარების სტრუქტურის, მიზნებისა და საქართველოსთვის ხელმისაწვდომი პროექტებისა და პროგრამების შესახებ.

2014 წლის 7-9 აპრილს სახელმწიფო მინისტრის აპარატის და საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის მხარდამჭერი პროექტის დახმარებით, სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ. სოფიაში (ბულგარეთი). ვიზიტის ფარგლებში, რომლის ძირითადი მიზანი იყო ბულგარეთის გამოცდილების გაზიარება ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით, დელეგაციის წევრებმა გამართეს 12 შეხვედრა, როგორც მაღალი დონის საჯარო მოხელეებთან ასევე არასამთავრობო და ბიზნეს გაერთიანებების წარმომადგენლებთან.

28 მაისს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, სასტუმრო ამბასადორში გაიმართა დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა დონორთა საკოორდინაციო ფორმატის და სამომავლო დახმარების დაგეგმვის მექანიზმების შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა. შეხვედრას დონორთა მხრიდან ესწრებოდნენ საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის (EUD), საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის საელჩოების, შვედეთის განვითარების ფონდის (SIDA), ამერიკის განვითარების საერთაშორისო ფონდის (USAID), გაეროს განვითარების ფონდის (UNDP), ხოლო საქართველოს მხრიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს და პრემიერ მინისტრის აპარატის წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პრემიერ მინისტრის აპარატის ორგანიზებით დასახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლის მონაწილეობით, სოფელ კაჭრეთში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებში გაიმართა დისკუსია საქართველოში დონორთა საკოორდინაციო ქმედითი მექანიზმის შემუშავებასთან დაკავშირებით.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს შეხვედრები თვითოეულ დონორთან, რათა მომდევნო დონორთა საკოორდინაციო შეხვედრისთვის უფრო ნათელი გახდეს ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის რომელი სექტორის მიმართულებით გეგმავენ დონორები საქართველოსთვის დახმარების გაწევას. შეხვედრები ასევე მიზნად ისახავს მიმდინარე და დაგეგმილი დახმარების პროექტების აღრიცხვას, რომელშიც დონორები პირადად არიან ჩართულები, სავარაუდო ან დაგეგმილი ფინანსური დახმარების რაოდენობის დადგენას და იმ დახმარების ინსტრუმენტების განსაზღვრას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სამომავლო პროექტები.

2014 წლის 11 ივნისს, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გამართა მე-4 სამუშაო შეხვედრა Twinning-ის პროექტის მუდმივი უცხოელი მრჩეველებისთვის, რომელიც მიზნად ისახავდა მუდმივ უცხოელ მრჩეველებს შორის Twinning-ის პროექტის განხორციელების პროცესში პრაქტიკული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის მხარდამჭერი პროექტის დახმარებით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის და ნატოსა და ევროკავშირზე საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებისთვის ჩატარდა 3 ერთკვირიანი ტრენინგი ევროკავშირის პროექტების ციკლის მართვის, შეფასებასა და მონიტორინგთან დაკავშირებით.

24-27 სექტემბერს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის თანამშრომლები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ. ბრუსელში ევროკომისიის მიერ ორგანიზებულ შეხვედრა/კონფერენციაზე (Institution Building Days), რომლის ფარგლებში განხილული იქნა ევროკავშირის დახმარების საჯარო უწყებების ინსტიტუციური განვითარების პროგრამების (Twinning, TAIEX, SIGMA) ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში განხორციელების საკითხები. ვიზიტის ფარგლებში საქართველოსა და ევროკომისიის წარმომადგენლებს შორის გაიმართა ინდივიდუალური შეხვედრა, რომელიც დაეთმო ინსტიტუციური განვითარების პროგრამების პროცედურების გაუმჯობესების სამომავლო პერსპექტივების განხილვას;

მომზადდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის/PAO საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო ბუკლეტის (Newsletter), რიგით მე-15 და მე-16 ნომრები, რომლებიც დაეგზავნათ სამინისტროებს, საქართველოში აკრედიტებულ ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებს, ევროკავშირის შესაბამის სამსახურებს და საქართველოს საელჩოებს ევროკავშირში. ასევე, შემუშავების პროცესში რიგით მე-17 ნომერი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (BSCBC) ფარგლებში მიმდინარე პროექტების წარმომადგენელთა 3 საკოორდინაციო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ევროკომისიის და BSCBC პროექტებში მონაწილე არსამთავრობო ორგანიზაციების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის (BSCBC) პროგრამის 5 საინფორმაციო ბუკლეტი (Newsletter), რომელიც დაეგზავნათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რეგიონალურ წარმომადგენლობებს და პროგრამის სხვა პოტენციურ ბენეფიციარ ორგანიზაციებს.

ა/წლის 4 ივლისს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, ევროკავშირის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის (EaPTCP) ფარგლებში, ქ. თბილისში გაიმართა მაღალი დონის პირველი ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიემდგინება EaPTCP პროგრამის პრეზენტაციას და სამომავლო პერსპექტივებს. კონფერენციას ესწრებოდნენ სამთავრობო დელეგაციები აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნიდან.

EaPTCP პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 7 საინფორმაციო შეხვედრა რეგიონებში (კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი) პროგრამის პოტენციურ ბენეფიციარებთან პროგრამის მომავალი თანამშრომლობის პრიორიტეტებისა და პროცედურების შესახებ, რომელსაც ესწრებოდნენ, როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.